პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №------

2024 წლის „__“ „ _____"

ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადგენს:

მუხლი1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N32 დადგენილებაში **(ვებ გვერდი: www.macne.gov.ge 29/11/2022წ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250010.35.113.016481)** და დადგენილების :

1) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და სარგებლობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ“

2) 1-ელ მუხლს მე-3 პუნქტის შემდგომ, დაემატოს მე-4 პუნქტი და აღნიშნული ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.დამტკიცდეს სარგებლობის ხელშეკრულების ფორმები (იჯარა - დანართი №4-ის , სასყიდლიანი უზუფრუქტი დანართი №5-ის, უსასყიდლო უზუფრუქტი დანართი N6-ის , სასყიდლიანი სერვიტუტი დანართი №7-ის, უსასყიდლო სერვიტუტი დანართი №8-ის, სასყიდლიანი აღნაგობა დანართი №9-ის, უსასყიდლო აღნაგობა დანართი №10-ის შესაბამისად)“.

3) ასევე დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 3. ქონების სააუქციონოდ მომზადება გულისხმობს:

ა) მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით ქონების შერჩევას;

ბ) ქონების აზომვასა და რეგისტრაციას;

გ) საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და გეგმის პროექტების მომზადება და წარდგენა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის;

დ) სხვა აუცილებელი ღონისძიებების გატარებას“.

მუხლი 2.დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია